22/01/2019

ილია მეორემ ქაშვეთის ეკლესიაში დიდ დიღომში აფეთქებისას დაღუპულებისთვის პანაშვიდი გადაიხადა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში დიდ დიღომში აფეთქების დროს დაღუპულებისთვის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

დაღუპულების სამოქალაქო პანაშვიდი ამ წუთებში მიმდინარეობს. ტაძარში შეკრებილი არიან დაღუპულების ოჯახის წევრები, ახლობლები და რიგითი მოქალაქეები. ქაშვეთის ეკლესიაში იმყოფება თბილისის მერი, კახა კალაძე.

გარდაცვლილები ნათია ციცვიძე, მისი მცირეწლოვანი შვილი ნიკოლოზი და ნინო ციცვიძე ქაშვეთის ტაძარში გუშინ გადაასვენეს.

ტრაგედიის შედეგად დაღუპულებს დღეს დაკრძალავენ.

დიდ დიღომში აფეთქება 16 იანვარს მოხდა. შედეგად დაიღუპა ოთხი და დაშავდა რვა

ადამიანი.

1TV.GE

1TV.GE

(1tv.ge)